კათოლიკე ეკლესიის კალენდარი

წელი უფლისა

2017

ითარგმნა და დაიბეჭდა
მეუფე გუზეკე ჰაზოტოს
ლოცვა-კურთხევით

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრაცია

წმიდა წერილის წიგნთა სახელების შემოკლებანი

ძველი აღთქმა

დაბ – დაბადება
გამ – გამოსვლა
ლევ – ლევიანნი
რიცხ – რიცხვთა
რჯლ – მეორე რჯული
იესო – იესო ნავეს ძე
მსჯ – მსაჯულნი
რუთ – რუთი
1მეფ – პირველი მეფეთა
2მეფ – მეორე მეფეთა
3მეფ – მესამე მეფეთა
4მეფ – მეოთხე მეფეთა
1ნეშტ – პირველი ნეშტთა
2ნეშტ – მეორე ნეშტთა
1ეზრ – პირველი ეზრა
ნეემ – ნეემია
ესთ – ესთერი
იობ – იობი
ფს – ფსალმუნნი
იგ – იგავნი სოლომონისა
ეკლ – ეკლესიასტე
ქებ – ქებათა-ქება
ეს – ესაია წინასწარმეტყველი
იერ – იერემია წინასწარმეტყველი
გოდ – გოდება იერემიასი
ეზეკ – ეზეკიელ წინასწარმეტყველი
დან – დანიელი
ოს – ოსია წინასწარმეტყველი
იოელ – იოელ წინასწარმეტყველი
ამ – ამოს წინასწარმეტყველი
აბდ – აბდია წინასწარმეტყველი
იონ – იონა წინასწარმეტყველი
მიქ – მიქა წინასწარმეტყველი
ნაუმ – ნაუმ წინასწარმეტყველი
აბაკ – აბაკუმ წინასწარმეტყველი
სოფ – სოფონია წინასწარმეტყველი
ანგ – ანგია წინასწარმეტყველი
ზაქ – ზაქარია წინასწარმეტყველი
მალ – მალაქია წინასწარმეტყველი
1მაკ – პირველი მაკაბელთა
2მაკ – მეორე მაკაბელთა
3მაკ – მესამე მაკაბელთა
4მაკ – მეოთხე მაკაბელთა
ბარ – ბარუქ წინასწარმეტყველი
2ეზრ – მეორე ეზრა
3ეზრ – მესამე ეზრა
ივდ – ივდითი
ეპ. იერ. – ეპისტოლე იერემიასი
სიბრძ – წიგნი სიბრძნისა
ზირ – სიბრძნე ზირაქისა
ტობ – ტობითი

ახალი აღთქმა

მთ – მათეს სახარება
მარ – მარკოზის სახარება
ლკ – ლუკას სახარება
იო – იოანეს სახარება
საქ – საქმე მოციქულთა
რომ – რომაელთა მიმართ
1კორ – 1 კორინთელთა
2კორ – 2 კორინთელთა
გალ – გალატელთა მიმართ
ეფ – ეფესელთა მიმართ
ფილიპ – ფილიპელთა მიმართ
კოლ – კოლასელთა მიმართ
1თეს – 1 თესალონიკელთა მიმართ
2თეს – 2 თესალონიკელთა მიმართ
1ტიმ – 1 ტიმოთეს მიმართ
2ტიმ – 2 ტიმოთეს მიმართ
ტიტ – ტიტეს მიმართ
ფილიმ – ფილიმონეს მიმართ
ებრ – ებრაელთა მიმართ
იაკ – წმ. იაკობის წერილი
1პეტ – წმ. პეტრეს I წერილი
2პეტ – წმ. პეტრეს II წერილი
1იო – წმ. იოანეს I წერილი
2იო – წმ. იოანეს II წერილი
3იო – წმ. იოანეს III წერილი
იუდ – წმ. იუდას წერილი
გამოცხ – გამოცხადება

1 იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ, [ს],თ

(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და
ძმა მისი საბა ხახულელნი

2017 ვირა

რიცხ 6,22–27; ფს 66; გალ 4,4–7; ლკ 2,16–21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

**მწყემსნი სასწრაფოდ მივიდნენ
და იხილეს მარიამი და იოსები
და ბაგაში მწოლარე ყრმა** ლკ 2,16

ახალ წელს ვიწყებთ. ზეციერი მამაც თავიდან იწყებს ჩვენს შეყვარებას, თავისი საუნჯის მონიჭებას: *„იხილეს მარიამი და იოსები და ყრმა“*. სწორედაც რომ კარგი მამის დარად იგი მცირეებით იწყებს, მათით, ვისაც მეტი ესაჭიროება. არც ჩვენთვის იქნება რთული მის წინაშე ღარიბად წარდგომა: თითოეული ჩვენგანი ხომ მდიდარია რაიმე ისეთი სიღარიბით, მის გულს რომ იზიდავს! მშვენიერია გზას დაადგე ასეთი ნდობით! გისურვებთ კეთილ წელიწადს!

2 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

წმ. ბასილ დიდი, +379, და
წმ. გრიგოლ ნაზიანზელი +390, ეპ. და მოძ. (მ)

2017 ორშაბათი

1იო 2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

ვინც აღიარებს ძეს, მას მამაცა ჰყავს 1იო 2,23

წმიდა იოანე გვეუბნება, რომ ვისაც არა სწამს იესო, მას არც მამა ჰყავს. ხოლო, ვისაც სწამს ძე ღვთისა, იგი ცოცხლად განიცდის, რომ ღმერთი მამა ყოფილა და უწყის რაცაა მისდამი მინდობის სიხარული. გმადლობ, იესო, შენი რწმენის ნიჭისათვის: მისი წყალობით სრულ თანაზიარებაში ვართ მამასთან და აღარც მოვისაკლისებთ რამეს!

3 იანვარი

2017

იესოს უწმიდესი სახელი;
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი

სამშაბათი

1იო 2,29 – 3,6; ფს 97; იო 1,29–34

ჩემს შემდეგ მოდის კაცი,
რომელიც ჩემი წინამორბედია,
ვინაიდან ჩემზე უწინარეს იყო იო 1,30

ამ სიტყვებით ნათლისმცემელი ადასტურებს იესოს უპირატესობას, მეტიც, მის ღვთაებრიობას: *„ჩემზე უწინარეს იყო“*. იესო დაიბადა მასზე ექვსი თვით გვიან, თუმცა, როგორც გვაუწყა იოანეს პროლოგმა, იგი, სიტყვა ღმრთისა, მარადისობიდან მამასთან იყო, მარადისობიდან ღმერთი იყო. ამ ჭეშმარიტებას, ნათლისმცემელი მხოლოდ წმიდა სულის ნათლით მიხვდა, ჭეშმარიტებას, რომელიც იმავე სულის ნათლით ჩვენცა გვწამს.

4 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

2017 ოთხშაბათი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

ვპოვეთ მესია იო 1,41

მესია ებრაულად, ხოლო ბერძნულად ქრისტე, ნიშნავს ნამდვილ ცხებულს, ღვთისგან კურთხეულს. ანდრიას ამ სიტყვებიდან გამოსჭვივის იესოს გაცნობით მიღებული სიხარული, ჩანს, როგორ მოელოდა მას და სწყუროდა იგი: ახლა, თავისი მოძღვრის, იოანე ნათლისმცემლის სიტყვების მოსმენით იპოვა ის, ვისაც მისი სიცოცხლე უნდა აევსო. იპოვა და უზიარებს მას თავის ძმას, სიმონს. შესაძლოა შენც განგიცდია, რომ იესოა ის, ვის კვალშიც ჩადგომა არა მხოლოდ ღირს, არამედ სიცოცხლის ფასადაც კი ღირს: უთხარი ეს იმას, ვინც ჯერაც ძიებაშია!

5 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

2017

ხუთშაბათი

1იო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

მიუგო მას ფილიპემ: „მოდი და ნახე“ იო 1,46

ფილიპე, რომელიც შეხვდა იესოს და მისივე მოხმობით გაჰყვა მას, დაინახავს ნათანაელს და უზიარებს მას უფალთან ყოფნის სიხარულს. სურს რომ მეგობარიც შეხვდეს მას. ესაა ყველაზე დიდი საჩუქარი, რისი მიძღვნაც შეგვიძლია ჩვენი მეგობრებისთვის, თუკი ჩვენს გულში იესო სუფევს.

6 იანვარი

2017

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

პარასკევი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური მთ 2,11

იესო, შენა ხარ მეფე! მოგვებმა გიხილეს ჩვილი, ამოგიცნეს, თაყვანი გცეს; მოგართვეს ძღვენი, რომელიც მხოლოდ მეფეებს ეკუთვნით, მხოლოდ ღმერთს. სულო წმიდაო, ღვთის ნათელო, ნათელო, რომლითაც ვხედავთ იესოს სიახლოვეს და შევიგრძნობთ მის სიყვარულს, იბრწყინე მანათობელ ვარსკვლავად ყოველი ადამიანისათვის!

7 იანვარი

2017

შობის ჟამი II, [ს], თ

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. +1275

შაბათი

1იო 3,22 – 4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მისდევდა მას დიდძალი ხალხი მთ 4,25

ამ ხალხს ბევრი სატანჯველი, მარტოობა, დაბნეულობა, წყვდიადი ჰქონდა გამოვლილი; ეს ის ხალხი იყო, რომელზეც ესაიამ იწინასწარმეტყველა, რომ წყვდიადსა და ჩრდილის ქვეყანაში იხილავდა დიდ ნათელს. იესოში მათ პოვეს შვება სატანჯველში; ოღონდ, არამხოლოდ: მათ პირველ რიგში პოვეს უხვი სიყვარული, ღია გული, გამამხნევებელი და ახალი მიმართულების მომცემი სიტყვა. იესო, მეც შენს კვალს ვადგავარ.

8 იანვარი

უფლის ნათლისღება «ა», დ, [ს], თ

2017 ოთხშაბათი

ეს 42,1–4.6–7; ფს 28; საქმ 10,34–38; მთ 3,13–17

ასე იყოს ახლა, რადგან გვმართებს
მთელი სიმართლის აღსრულება მთ 3,15

იოანემ უწყის, რომ იესოს არა სჭირდება მისი ხელით მონათვლა, თუმცა იესო აგულიანებს: მამის ნებაა (= სიმართლე), რომ მან იტვირთოს წუთისოფლის ცოდვა. და კვლავაც მხოლოდ მამა აამაღლებს მორჩილ ძეს. მის თავზე იხსნება ზეცა, რომელიც ღია დარჩება, რათა მიგვიღოს ჩვენც მასთან ერთად.

9 იანვარი

2017

ორშაბათი

ებრ 1,1-6; ფს 96; მარ 1,14-20

მოექეცით და იწამეთ სახარება მარ 1,15

იესოს ბაგიდან და გულიდან მივიღოთ დღეს ეს სიტყვები! ვიწამოთ სახარება, ანუ, ის კეთილი ამბავი, რომ მამას ვუყვარვართ და რომ მასში, იესოში, მუდამ ჩვენთანაა. გვწამს ეს, როდესაც ვცხოვრობთ ახალი, მშვიდი სიცოცხლით, რომელიც იქცევა მისი სიყვარულის იარაღად.

სამშაბათი

ებრ 2,5-12; ფს 8; მარ 1,21-28

იესომ შერისხა იგი და თქვა: „გაჩუმდი და გადი მაგისგან!“ მარ 1,25

გმადლობთ, იესო, რომ შორს იყურები. მხოლოდ იმ კაცის ბრაზიანი პასუხი არ დაგინახავს, არამედ ისიც, ვინც იყო ამგვარი ქცევის მიზეზი და გაათავისუფლე ეს ადამიანი. ნამდვილად, მხოლოდ შენ შეგეძლო ეს, მხოლოდ შენა გაქვს ხელმწიფება ადამიანის მტერზე. იესო, შენი სახელის ძალით მეც შევეცდები ვილოცო მათთვის, ვინც ბოროტის ტყვეობაშია, სტანჯავს და იტანჯება.

ოთხშაბათი

ებრ 2,14-18; ფს 104; მარ 1,29-39

დილაუთენია ადგა მარ 1,35

მე ყოველთვის მიჭირს ხოლმე დილაობით საერთო ლოცვაზე ადგომა... არადა, ვისაც თევზის ჭერა ან ნადირობა უყვარს, დილაუთენია დგება, ვინც შვებულებით მიემგზავრება, სიხარულით ძილიც ავიწყდება! ნამდვილად, იესოს გულიც სავსე იყო მამასთან ყოფნის წყურვილით, იმისი გაგების წყურვილით, თუ როგორ მიეღო ეს ტანჯული კაცობრიობა მამის ჩანაფიქრის თანახმად.

ხუთშაბათი

ებრ 3,7–14; ფს 94; მარ 1,40–45

**მოვიდა იესოსთან ერთი კეთროვანი
და ეუბნებოდა მას: „თუ გნებავს, |
შეგიძლია ჩემი განწმედა!“** მარ 1,40

იესო, ნამდვილად არაფერია შენთვის შეუძლებელი! მეც მოვდივარ შენთან თავმდაბლობითა და სასოებით: შენ ძალგიძს ჩემი ცოდვისაგან განწმენდა! ჩემი გულის მზერა ამგვარად მისწვდება მამას და მეც შევძლებ ძმის შეყვარებას. იესო, შემიწყალე!

13

2017

იანვარი

რიგითი ჟამის I კვირა [I] მწ

წმ. ილარიონი, ეპ. და ეკლ. მოძღ., +367;
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბიანა, აბადესა

პარასკევი

ებრ 4,1-5.11; ფს 77; მარ 2,1-12

მ. ჰარეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

ეუბნებოდა მათ სიტყვას მარ 2,2

ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი, რასაც იესო უწვდიდა იმათ, ვინც დაღლილნი და ჩაგრულნი, ისწრაფოდნენ მისკენ: სიტყვა, რომელიც მამის სიყვარულს აცხადებდა და აგრძნობინებდა, აღუდგენდა იმედსა და სიცოცხლეს, ნათელსა და ძალებს. იესოს დღესაც გამოწვდილი აქვს ჩვენკენ ეს საოცარი საჩუქრი: გვსურს გამოვართვათ! განსაკუთრებით საკვირაო ევქარისტიაში გვიძღვნის მას.

შაბათი

ებრ 4,12-16; ფს 18; მარ 2,13-17

მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი მარ 2,17

ეს სიტყვა ის მარგალიტია, რომელიც ჩემს ზარდახშაში უნდა შევინახო. კვლავაც დამიდგება დღე, როდესაც თავს ცოდვილად ვიგრძნობ და ვიქნები კიდეც; მაშინ დავხედავ ამ მარგალიტს: ის შემახსენებს, რომ იესო სწორედ ცოდვილთათვის მოვიდა, სწორედ ჩემნაირებისთვის. და სიმამაცით, მეტიც, სიხარულით მივალ მასთან და მასთან დავრჩები და დავნებდები მის სიყვარულსა და მზრუნველობას.

15 იანვარი

2017 ოთხშაბათი

ეს 49,3.5-6; ფს 39; 1კორ 1,1-3; იო 1,29-34

ის არის სული წმიდით ნათლისმცემელი იო 1,33

წმიდა სული უსასრულო ნიჭია: ისაა ღმერთის ჩვენში ყოფნა; თანაზიარებაა, სიხარული, მშვიდობა. მას იესოსგან ვღებულობთ. მაშ, დღეს არ დავაკლდებით მასთან დათქმულ შეხვედრას ევქარისტიაზე, და კვირის მანძილზე შევეცდებით დავიცვათ მასთან შინაგანი კავშირი. საამისოდ არსებობს მარტივი სავარჯიშო – გულის სიღრმეში ვიმეორო მისი ეს სიტყვა: *„ის არის სული წმიდით ნათლისმცემელი“*.

16 იანვარი

2017 ორშაბათი

ებრ 5,1-10; ფს 109; მარ 2,18-22

თუმცა ძე იყო, მან ტანჯვის მეოხებით ისწავლა მორჩილება ებრ 5,8

ძე მარადისობიდან მამასთან იმყოფება: მისკენ მიპყრობილი, რომელიცაა მისი სიცოცხლე, სიხარული, მისი სიყვარულის მისაღებად. დედამიწაზე მან განაგრძო თავისი ძეობა, ჩვენი ხორციელი ტანჯვისა და სირთულეების განცდითა და მათ მიერ განმტკიცებით. გმადლობთ, იესო, ამგვარად ინებე გაგეხსნა ჩვენთვის მამისაკენ სავალი გზა და ამგვარად მუდამ ჩვენი მეგზური ხარ!

17 2017

იანვარი

რიგითი II კვირა [II] თ

წმ. ანტონ დიდი +356 (მ);
(4.I) ღირსნი მამანი: ევარგე, ილია დიაკონი და სხვ. IVს.

სამშაბათი

ებრ 6,10-20; ფს 110; მარ 2,23-28

მოუსდა ხორბლის ყანებზე გადავლა მარ 2,23

რა მშვენიერი სურათია – თავის მოწაფეებთან ერთად ხორბლის ყანებზე მიმავალი იესო! ზეცისა და მიწის უფალთან ერთად ადგანან ისინი გზას: მათი მშვიდობა ნამდვილია. ამგვარად, დღესაც, ვისაც იესოსთვის ჩაუჭიდავს ხელი მის ეკლესიაში, მშვიდად მოგზაურობს ამ საბრალო წუთისოფლის მოვლენათა შორის.

18 იანვარი

2017 ოთხშაბათი

ებრ 7,1–3.15–17; ფს 109; მარ 3,1–6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

ფუთვალთვალეებდნენ,
შაბათ დღეს თუ განკურნავდა მას მარ 3,2

ხელგამხმარი კაცის განკურნებით იესოს სურდა დახმარებოდა ფარისეველთ, რათა დაენახათ სიმართლე შაბათის შესახებ. სურდა დაერწმუნებინა ისინი, რომ ღმერთის სურვილია ამ დღეს იხილოს მთელი თავისი ერი ზეიმში, სნეულთა გამორიცხვის გარეშე. მაგრამ ისინი არ იყვნენ მზად სიახლეებისათვის, თვით ღმერთისაგან მომდინარე სიახლეებისთვისაც კი.
დღს ვიწყებთ ლოცვას ქრისტიანთა ერთობისათვის: ღვთის ნებაა ეს ერთობა. მივიღოთ მისი გულმოწყალება, რათა შევიყვაროთ ჩვენი ძმები, ისინიც, ვინც დღემდე გარიყულნი გვყავდა ჩვენი გულიდან.

19 იანვარი

2017

რიგითი II კვირა [II] მწ

ხუთშაბათი

ებრ 7,25 – 8,6; ფს 39; მარ 3,7–12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

ქრისტეს ძალუძს სრულად გადაარჩინოს ყველა, ვინც მისი შუამდგომლობით მიეახლება ღმერთს ებრ 7,25

გმადლობთ, იესო: მამის ხელმარჯვნივ მჯდარი შუამდგომლობ ჩვენთვის. მწამს, რომ შენ გსურს მოგვანიჭო შენი შვილობრივი სული, რათა ვიცხოვროთ ერთობაში მამის სადიდებლად. გესავთ შენ, ყოველთა მაცხოვარო.

20 იანვარი

2017

რიგითი II კვირა [II] მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს.
წმ. სებასტიანე, წამ., +~304

პარასკევი

ებრ 8,6–13; ფს 84; მარ 3,13–19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

მოუხმო თავისთან, ვინც სურდა. მარ 3,13

თუკი იესოსთან ერთადა ვართ, ეს მისი წყალობაა; თუკი ვცხოვრობთ მის მსახურებაში, ეს მისი წყალობაა: ეს მან მიგვიზიდა და მოგვიხმო თავისი სიყვარულით. მადლობა, იესო, სიკეთისა და ერთობის წყაროვ; გმადლობთ, რომ კვლავაც გსურს მოგვანიჭო წმიდა სული, თანაზიარებისა და მიტევების სული.

21 იანვარი

2017

რიგითი II კვირა [II]

წმ. აგნესა ქალწ. წამ., + 304 (მ), წ
(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ., წ

შაბათი

ებრ 9,2-3.11-14; ფს 46; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

შევიდა ერთხელ და სამუდამოდ წმიდაში ებრ 9,12

იესო, ზეცად ამაღლებისას საბოლოოდ შევიდა ღვთის საწმიდარში, ანუ მამის მარჯვნივ. ჯვარზე ერთხელ და სამუდამოდ მიძღვნილი თავისი მსხვერპლით მან გვიხსნა ჩვენ. გმადლობ, იესო, რომ იტანჯე სისხლის დაღვრამდე, რათა მოგეცა ჩემთვის შენთან ყოფნის მადლი. გმადლობ, რადგან მრავლად არიან ძმები ყველა ეკლესიაში, კათოლიკეში, მართლმადიდებელში და პროტესტანტულში, რომლებიც მზად არიან მიუძღვნან თავიანთი სიცოცხლე, რათა აღსრულდეს შენი ლოცვა, რათა შენი მოწაფენი იყვნენ *„ერთნი“*.

22 იანვარი

რიგითი ჟამის III კვირადღე, «ა», [III], მწ

2017 პირა

ეს 8,23–9,3; ფს 26; 1კორ 1,10–13.17; მთ 4,12–23

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

მოექეცით, რადგან ახლოა ღვთის სასუფეველი

მთ 4,17

მე მგონი შემიძლია აღვწერო იესოსკენ ჩემი მოქცევა ორი მომენტის გახსენებით. პირველია ნათლისღება, როდესაც ჩემმა მშობლებმა გადამცეს იესოს და თავად იკისრეს ზურგი ექციათ წუთისოფლისთვის, რათა აღვეზარდე მის კვალში. მეორე კი, როცა რამოდენიმე მეგობართან ერთად დავიწყე შეხვედრები სახარების საკითხავად, შევეცადე ჩავწვდომოდი მას და რამოდენიმე ნაბიჯის გადადგმა შემძლებოდა იესოს კვალში. სიტყვები არ მყოფნის უფლისადმი მადლობის სათქმელად იმ სიკეთისათვის, რომელიც მომაგო როცა მომიწვია, ზოგჯერ ძალითაც, შევსულიყავი მის სასუფეველში.

23 იანვარი

2017

რიგითი II კვირა [II] მწ

ორშაბათი

ებრ 9,15.24-28; ფს 97; მარ 3,22-30

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

როგორ შეუძლია სატანას სატანის განდევნა? მარ 3,23

მადლობა, იესო, შენი დიდი მოთმინებისა და გულმოწყალებისათვის მათ მიმართ, ვისაც გული გაჰქვავებია და გასჯიუტებია. მადლობა სიყვარულის სიტყვებისათვის, რომლითაც გსურს გაანათლო, შეუსწორო, შეაგონო. მადლობა, რომ ყველას დახსნა გსურს.

24 იანვარი

2017

რიგითი III კვირა [III]

წმ. ფრანცისკე დე სალი, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +1622, (მ), თ

სამშაბათი

ებრ 10,1-10; ფს 39; მარ 3,31-35

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

აჭვა, მოვდიეარ
შენი ნების აღსასრულებლად ებრ 10,9

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ციტირებს 40-ე ფსალმუნს, რომელშიც მლოცველი წინასწარმეტყველებს მესიას. იგი ღმერთს თაყვანისცემის ნიშნად პირუტყვს როდი შესწირავს, არამედ საკუთარ სხეულს. იესომ აღასრულა ეს წინასწარმეტყველება: მიუძღვნა მამას საკუთარი თავი, რათა ყველაფერში მისი ნება აღესრულებინა და ამგვარად განედიდებინა იგი. მადლობა, იესო, *„სულიერ მსხვერპლთა“* მოძღვნის შესაძლებლობისათვის, როდესაც მანიჭებ შენს სიტყვაზე დამყოლ გულს, განსაკუთრებით კი ძმათა მიმართ მიმტევებელ, მომთმენ და თავაზიან გულს.

25 იანვარი

2017

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

ოთხშაბათი

საქმ 22,3-16 (ან: 9,1-22); ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული

არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

მე იესო ვარ, შენ რომ სდევნი საქმ 22,8

მდევნელი პავლე იესოს სიყვარულმა შეაჩერა. მისი ხმის გაგონებისას შეეკითხა: *„ვინა ხარ, უფალო?“*, და იესომაც გამოუცხადა მას, რომ იგი იყო ის, ვის დევნაშიც იყო სავლე გართული. სდევნო ქრისტიანებს ნიშნავს, სდევნო იესოს. აუგი თქვა ეკლესიაზე, განსაჯო და დაგმო ის, ნიშნავს შეურაცხყოფა მიაყენო იესოს.

შეგთხოვთ შენ, წმიდაო პავლე, შემახსენო ეს, როდესაც იესოს მორწმუნეთა, თუნდაც მყიფე და ცოდვილ მორწმუნეთა წინააღმდეგ გამოსვლის ცდუნებას დავყვები.

26 იანვარი

2017

რიგითი III კვირა [III] თ

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ), [ს]

ხუთშაბათი

2ტიმ 1,1–8 (ან, ტიტ 1,1–5); ფს 95; ლკ 10,1–9

ნუ შეგრცხვება უფლის დამოწმებისა 2ტიმ 1,8

ქადაგებისას ჩემს უკნიდან მომესმა ნათქვამის ზედაპირული კრიტიკა. გულში ვუთხარი იესოს, რომ მზად ვიყავი მიმეღო ყოველივე, რასაც იგი მთავაზობდა თავისი მსახურის მიერ, თუნდაც ბევრი მოეთხოვა ჩემთვის, და წირვის შემდეგ მრევლის იმ წევრებისათვის დამემომწმებინა ის ძალა, რაც მივიღე მოძღვრის სიტყვიდან.
მადლობა, იესო, შენმიერ შთაგონებათათვის!

27 2017

იანვარი

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ
წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული +1540

პარასკევი

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20
საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

ფუფალი განამტკიცებდა სიტყვას
მათი თანმხლები სასწაულებით ებრ 10,36

როდესაც შენი მადლი, სახიერო იესო, მოსწვდება ხოლმე ჩვენს გულებს, ვღებულობთ სიყვარულის უნარს, ყოველი გასაჭირის ატანის უნარს. მოგვმადლე, მუდამ შენთან მოვდიოდეთ ძალების მისაღებად, რათა შევძლოთ შენს სიყვარულში გაძლება!

28 იანვარი

2017

რიგითი III კვირა [III] თ

წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., +1274(მ);
(15.I) წმმ. სალომე უჯარმელი და პეროჟავრ სივნიელი

შაბათი

ებრ 11,1-2.8-19; საგ. ლკ 1,68-75; მარ 4,35-41

მოძღვარო, არ გენაღვლება,
რომ ვიღუპებით? მარ 4,38

ზოგჯერ, როდესაც გასაჭირში ვარ ხოლმე, ვწუწუნებ ვინმეზე და ვღიზიანდები; არადა, მინდა შენ მოგენდო, იესო, მუდამ ჩემს დასახმარებლად რომ ხარ მზად, თუკი თავმდაბლად მოვალ შენთან. მადლობა, უფალო იესო, რომ მუდამ აქა ხარ!

29 იანვარი

2017 ოთხშაბათი

რიგითი IV კვირადღე, «ა», [IV], მწ

სოფ 2,3;3,12–13; ფს 145; 1კორ 1,26–31; მთ 5,1–12

ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან მთ 5,7

როდესაც დახმარების ხელს გავუწვდით ხოლმე ღატაკებს, იესოს მსგავსად, ვპოვებთ ხოლმე მშვიდობასა და სიხარულს, ისევე, როგორც მოთმინებითა და გაგებით მოპყრობისას და შეურაცხყოფათა მიტევებისას.
იესო, მოგვანიჭე ძალა შენი სულისა,
რათა ვიცხოვროთ შენს მოსაწონად!

30 იანვარი

რიგითი IV კვირა [IV] მწ

2017 ორშაბათი

ებრ 11,32–40; ფს 30; მარ 5,1–20

გადი ამ კაცისგან, არაწმიდა სულო! მარ 5,8

მადლობა, უფალო იესო, რომ მოსულხარ ყოველი
უწმიდური სულისაგან ჩვენს დასახსნელად,
ჩვენს დაქცევას რომ ცდილობენ! მეც დამიხსენი
და მომანიჭე მუდამ შენთან ერთად ვიყო, წმიდა
სიცოცხლის წყაროვ! მადლობა!

31

2017

იანვარი

რიგითი IV კვირა [IV] თ

წმ. იოანე ბოსკო, მღვ., + 1888,
სალეზიელთა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ)

სამშაბათი

ებრ 12,1-4; ფს 21; მარ 5,21-43

მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი ებრ 12,1

სარბიელი, რომელზეც საუბრობს ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი, რწმენის სარბიელია, რომელსაც ასრულებს ყოველი ქრისტიანი, იესოსკენ მიპყრობილი მზერით. წმ. იოანე ბოსკო ამის ნიმუშია: პატარაობიდანვე ძალისხმევას არ იშურებდა დიდი მსხვერპლის ფასად, რათა ერთგულად შეესრულებინა მამის თხოვნები. შემდეგ კი ორატორიუმმა მთლიანად შთანთქა მისი სიცოცხლე. მადლობა, იესო, ამ შენი წმიდანისათვის და იმისათვის, რაშიც მისი შუამდგომლობით დამეხმარები მეც!